

## საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

### თინათინ მაქმარიაშვილი


ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საქართველო

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფო შესყიდვები, შესყიდვების პოლიტიკა, რეფორმა, ტენდერები

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ურთიერთობებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკაზე. საქართველოში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის პირველი რედაქცია 1998 წლით თარიღდება და ძალაში 1999 წლის 1 ივლისს შევიდა. კანონის მიზანს წარმოადგენდა ჯანსაღი კონკურენციის განვითარება და სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა. საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაციის მიზნით 2001 წლისათვის გატარდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები. კანონმდებლობის მრავალგვარი ინტერპრეტაცია, მარეგულირებელი კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების იგნორირება არაეფექტიანს ხდიდა რეფორმების მოქმედებას აღნიშნულ სფეროში [1, გვ. 92]. ამჟამინდელი კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2006 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში და სტრუქტურირებულია, როგორც ჩარჩო კანონმდებლობა და შესყიდვების კანონმდებლობის ცალკეული დეტალები ჩამოყალიბებულია სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტებში. სახელმწიფო შესყიდვების რეფორმის მნიშვნელოვანი ეტაპი კი 2010 წლის 1 იანვრიდან დაიწყო, რომლის შედეგებიც აღიარებულ იქნა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. ამ პერიოდისათვის შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა და ქალაქური წესის ტენდერების ნაცვლად სახელმწიფო შესყიდვები 2010 წლის ბოლოდან ელექტრონული წესით ხორციელდება. 2010 წლამდე საქართველოში სახელმწიფო შესყიდვები ხასიათდებოდა, როგორც მაღალი კორუფციის რისკის მქონე მიმართულება და გარკვეულწილად დახურულ სისტემას წარმოადგენდა. თუმცა, საერთაშორისო ურთიერთობებმა და ეტაპობრივმა

რეფორმებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს დამოკიდებულება. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და პრაქტიკის 2011 წლის კვლევაში ვკითხულობთ: „სამხრეთ ევროპის ქვეყნებში დანერგილია სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ძირითადი კომპონენტები, თუმცა, მხოლოდ საქართველოს ენიჭება შესაბამისობის მაღალი რეიტინგი, ვინაიდან საქართველომ ყველაზე უკეთ შეძლო დაეცვა და დაენერგა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით რეკომენდებული შესყიდვების ეფექტური ინსტრუმენტები“. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო პრაქტიკის გავლენით საქართველოში დაინერგა ელექტრონული, გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალურ ხარჯვასა და კერძო სექტორში კონკურენციის ზრდას. საქართველოში დანერგილი ელექტრონული შესყიდვების სისტემა კარგ მაგალითად შეიძლება იქცეს აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებისათვის, რადგან მათ ჯერ არ დაუწერავთ ელექტრონული შესყიდვების სისტემა და განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ საქართველოში განხორციელებული რეფორმების მიმართ [4, გვ. 4]. საქართველოში ელექტრონული სისტემის ამოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ბიუროკრატიული ბარიერები: შემცირდა სატენდერო მოსაკრებლის საფასური, ელექტრონულმა სისტემამ აღმოფხვრა გეოგრაფიული პრობლემა, რამაც ხელი შეუწყო კომპანიებს შორის კონკურენციის ზრდას, როგორც დედაქალაქში, ასევე საქართველოს რეგიონებში. შესაბამისად, ყოველწლიურად იზრდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირებულ მიმწოდებელთა რაოდენობა, რაც მის მიმართ ინტერესისა და სანდოობის გარანტიად გვევლინება (იხილეთ გრაფიკი 1).

გრაფიკი 1




წყარო: გრაფიკი სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ მონაცემთა ბაზაზე შედგენილია ავტორის მიერ

აღსანიშნავია, რომ სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებლების უდიდეს ნაწილს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, ინდივიდუალური მეწარმეები და ფიზიკური პირები წარმოადგენენ, რაც უფრო მეტად ხელს უწყობს კერძო სექტორის განვითარებასა და ხაზს უსვამს სახელმწიფო შესყიდვებში მათ მაღალ ჩართულობას.

ასევე, კორუფციის რისკის შემცირებისაკენ კიდევ ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს 2010 წლის 10 დეკემბერს დადგენილი განხილვის საბჭოს შექმნა, რომელიც შედგება სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან. საბჭო დაკომპლექტებულია პარიტეტის პრინციპით სააგენტოს თანამშრომლებისა და არასამთავრობო სექტორის სამი წარმომადგენლით. დადგენილი განხილვის საბჭო დამოუკიდებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მისი გადაწყვეტილების შეცვლა/გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს წესით. დადგენილი განხილვის პროცედურა, მათ შორის საბჭოს გადაწყვეტილებები საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით [5, გვ. 33]. ყოველწლიურად იზრდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დადგენილი განხილვის საბჭოში შესული საჩივრების რაოდენობა, რაც საზოგადოებაში დადგენილი საბჭოს მიმართ ნდობის ამალგებზე მიგვანიშნებს (იხილეთ გრაფიკი 2).

მაღალ სტანდარტებს აწესებს, ვიდრე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქმედი სისტემები [2, გვ. 46]. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ ძირითად ფუნქციებს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული და კანონის მოქმედებისათვის საჭირო ნორმატიული აქტებისა და სტანდარტული სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება და გამოცემა და მათი საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაცია წარმოადგენს [3, გვ. 6]. ამასთან, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა საშუალებას იძლევა შესყიდვების განხორციელებისას გამოყენებულ იქნას მსოფლიო ბანკის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის და ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ განსაზღვრული შესყიდვების პროცედურები, თუ ეს ორგანიზაციები არიან შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილენი. მიმდინარე ეტაპზე, საქართველოში, ელექტრონული შესყიდვების მაღალი დონის გათვალისწინებით, ევროკავშირის დირექტივებით განსაზღვრული ელექტრონული შესყიდვების ძირითად ელემენტებთან დაკავშირებული მოთხოვნები უკვე შესრულებულია [4, გვ. 50]. აღსანიშნავია, რომ

გრაფიკი 2



წყარო: გრაფიკი სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ მონაცემთა ბაზაზე შედგენილია ავტორის მიერ

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში 2014 წლის 27 ივნისს, ქ. ბრუსელში, ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას. შეთანხმების მნიშვნელოვან ნაწილს (IV კარი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები), - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი საავტოო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) წარმოადგენს, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზრების ორმხრივ და თანმიმდევრულ გახსნას. სახელმწიფო შესყიდვების თავი მოიცავს დანართს, სადაც დეტალურადაა გაწერილი კანონმდებლობის თანმიმდევრული დაახლოებისა და შესაბამისად, ბაზრის გახსნის ეტაპები. ამასთან, დღეისათვის საქართველოსაკანონმდებო ბაზაზე მეტწილად ევროკავშირის რეგულაციებს ემთხვევა და ხშირ შემთხვევებში უფრო

ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზრის მოცულობა 400 მილიარდ ევროზე მეტია და ბაზრის გახსნა საქართველოს კომპანიებისათვის ბიზნესის გაფართოების მნიშვნელოვან შესაძლებლობებს შექმნის. სამოქმედო გეგმა გაწერილია 8 წლიან პერიოდზე (ასოცირების შეთანხმების ძირითადი დებულებების ძალაში შესვლის თარიღიდან 01.09.2014) და დაყოფილია ხუთ ფაზად. თითოეული ფაზა ითვალისწინებს ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად, კონკრეტულ საკანონმდებლო და ნორმატიულ ცვლილებებს, რომელიც უზრუნველყოფს ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების სისტემასთან დაახლოებას [6, გვ. 55].  
საერთო ჯამში გლობალიზაციის უწყვეტმა და შეუქცევადმა პროცესმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ფორმირებაზე. სისტემა

მნიშვნელოვანი რეფორმა გაიარა, თუმცა ის კვლავაც უზრუნველყოფილია სახელმწიფო ფინანსური რესურსების დახვეწის პროცესშია, რაზეც კანონმდებლობაში მუდმივი რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, ასევე გაზრდილია ცვლილებები მეტყველებს. ამ ეტაპზე საქართველოში გატარებული სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის შედეგად ბაზარზე კონკურენციის დონე, რაც საერთო ჯამში დადებითად შეიძლება შეფასდეს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაფრინდაშვილი გ., სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის რეფორმა და მისი შედეგები საქართველოში, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“ №4, 2012 წელი ივლისი-აგვისტო, გვ. 91-96.
2. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის ამაღლების ანგარიში, თბილისი, ივნისი 2013
3. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“.
4. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა.
5. სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2014 წლის ანგარიში.
6. სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2015 წლის ანგარიში.

## BASIC DIRECTIONS OF STATE PROCUREMENT POLICY OF GEORGIA

---

**TINATIN MEDZMARIASHVILI**

PhD student of Ivane Javakishvili Tbilisi State University, Georgia

**KEYWORDS:** STATE PROCUREMENT, PROCUREMENT POLICY, REFORM, TENDERS

### **SUMMARY**

The state procurement plays an important part in sustainable development of national economy. As a result of conducted reforms, the country has acquired the most transparent state procurement system during the past years, which is being permanently improved and enhanced. The continuous

process of globalization had an important impact on state procurement policy. State procurement agency accomplished various arrangements within the framework of international cooperation, which will promote the further improvement of state procurement-related processes in Georgia.